

პრეს-რელიზი

თბილისი, 7 მარტი 2019

საქართველომ გადადგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები წყალდიდობის რისკის პრევენციისა და მზადყოფნის მიმართულებით

2019 წლის 6 და 7 მარტს, PPRD აღმოსავლეთ 2 პროგრამის ბოლო ეროვნული საკონსულტაციო ჯგუფი შეიკრიბა. შეხვედრის დროს წარდგენილი იქნა პროგრამის პერიოდში (4,6 წელი) მიღწეული შედეგები.

საქართველო ჩართული იყო ყველა იმ საქმიანობებში, რომელიც მიზნად ისახავდა კატასტროფების რისკის მართვის სფეროში ქვეყნის შესაძლებლობების, უნარებისა და შესაძლებლობების გაძლიერებას, როგორც ეროვნულ ასევე რეგიონულ დონეზე. გამოვლენილ სხვადასხვა საფრთხეებს შორის, წყალდიდობა კვლავ რჩება საქართველოსთვის ყველაზე მთავარ რისკად. საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, ევროკავშირის წყალდიდობების დირექტივა აისახა ეროვნულ კანონმდებლობაში. შედეგად, ქვეყანამ შეცვალა ეროვნული წყლის მართვის კოდექსი, რომელიც ასახავს ევროკავშირის წყალდიდობების დირექტივის მოთხოვნებს. გარდა ამისა, მდ. ცხენისწყლის აუზი გამოყენებულია პილოტური მდინარის აუზად, სადაც პროგრამის სახელმძღვანელოს საფუძველზე, მოხდება წყალდიდობის რისკის შეფასების მიდგომისა და მეთოდოლოგიის გამოვლენა, რაც შემდგომ შესაძლებელია გამოყენებული იქნას მთელი ქვეყნის მასშტაბით.

"ქვეყნის კანონმდებლობის ევროკავშირის წყალდიდობების დირექტივასთან დაახლოვების კუთხით საქართველო მიდის სწორი მიმართულებით, რასაც პროგრამის ექსპერტები უჭერენ მხარს", - განაცხადა ბატონმა შალვა კვინიხიძემ - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის საერთაშორისო ურთიერთობების სამმართველოს უფროსი და PPRD აღმოსავლეთ 2 პროგრამის საორგანიზაციო კომიტეტის წევრი.

ახლადშექმნილი საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურისგან მიღებული მოთხოვნის შესაბამისად, სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ ახალ კანონპროექტზე (მიღებულია 2018 წელს), პროგრამის ორმა ექსპერტმა მიაწოდეს რეკომენდაციები და კომენტარები. ასევე გააკეთეს სახანძრო სამაშველო დეპარტამენტის შეფასება და მათი ევროკავშირის სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა და სახანძრო სატრანსპორტო საშუალებების, აღჭურვილობისა და ინფრასტრუქტურის სტანდარტიზაცია.

ფაქტებისა და ციფრების თვალსაზრისით, საქართველომ შეასრულა პროგრამაში შემოთავაზებული ყველა ღონისძიება. 44 შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა (38 რეგიონული და 6 ეროვნული), საერთო ჯამში 285 მონაწილემ მიიღო მონაწილეობა (167 ეროვნული სამოქალაქო დაცვის ექსპერტი და 118 სხვა ეროვნული კატასტროფების რისკების მართვის დაინტერესებული მხარეები). დაინიშნა 5 თემატური საკონტაქტო პირი და შეიქმნა 2 უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფი.

ძირითადი ინფორმაცია

ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროგრამა „ბუნებრივი და ადამიანის მიერ გამოწვეული კატასტროფების პრევენცია, მზადყოფნა და რეაგირება აღმოსავლეთის პარტნიორობის ქვეყნებში“ (PPRD East 2) ხელს უწყობს აღმოსავლეთის პარტნიორობის ქვეყნების მშვიდობას, სტაბილურობას, უსაფრთხოებასა და კეთილდღეობას. მისი მიზანია აგრეთვე ქვეყნის მდგრადობის, მზადყოფნისა და რეაგირების გაძლიერებით ადამიანის მიერ და ბუნებრივი საფრთხეების მიერ გამოწვეული კატასტროფებისადმი გარემოს, მოსახლეობის, კულტურული მემკვიდრეობის, რესურსების და ინფრასტრუქტურის დაცვა რეგიონში. PPRD East 2 პროგრამა ხელს უწყობს კატასტროფების რისკის მართვის შესაძლებლობების გაძლიერებას ეროვნულ დონეზე სომხეთში, აზერბაიჯანში, საქართველოში, ბელორუსში, მოლდოვასა და უკრაინაში და მისი მიზანია რეგიონული თანამშრომლობის გაძლიერება პარტნიორ ქვეყნებს შორის. ასევე პროგრამის მიზანია პარტნიორი ქვეყნების დაახლოება ევროკავშირის სამოქალაქო უსაფრთხოების მექანიზმთან. პროგრამა გაგრძელდება 4 წლის განმავლობაში, რომლის ბიუჯეტიც შეადგენს 5,5 მილიონ ევროს.

დამატებითი ინფორმაციისათვის ეწვიეთ: www.pprdeast2.eu



პროგრამა დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ

პროგრამას ახორციელებს კონსორციუმი Stantec-ის ხელმძღვანელობით. რეგიონული ოფისი უკრაინაში: აკადემიკა ზოგომოლცა ქ. 7/14 ოფისი 101 01024 კიევი, უკრაინა Tel: + 38 044 25 32 343 Fax: +38 044 25 30 847

ევროკავშირის ადმინისტრაციული ორგანო.

"ევროკავშირი შედგება 28 ქვეყნისა და ამ ქვეყნების ხალხისაგან. ეს არის უნიკალური პოლიტიკური და ეკონომიკური პარტნიორობა, რომელიც ეფუძნება ისეთ ღირებულებებს როგორცაა ადამიანის ღირსება, თავისუფლება, თანასწორობა, კანონის უზენაესობა და ადამიანის უფლებები. ორმოცდაათ წელზე მეტი გავიდა მას მერე რაც ჩვენ კონტინენტზე მშვიდობის, დემოკრატიის, სტაბილურობის და წარმატების ზონა შევქმენით, ხოლო ამავდროულად კულტურული მრავალფეროვნება, ტოლერანტობა და ინდივიდუალური თავისუფლებები შევინარჩუნეთ. ევროკავშირის სურს, გაუზიაროს თავისი ღირებულებები და მიღწევები არამარტო მეზობელ ქვეყნებსა და ხალხს, არამედ შორეულ ქვეყნებსაც".